შემოსავლების სამსახური

# 2023 წლის 31 მარტი 2022 წლის საანგარიშო პერიოდზე საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ბოლო დღეა

## ⚠ გთხოვთ გაითვალისწინოთ

## საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენისა და გადასახადის გადახდის ვადები

| 2022 წლის საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას 2023 წლის 01 აპრილამდე წარადგენენ | საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება |
|---|---|
| მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას 2022 წლის განმავლობაში | 2023 წლის 01 აპრილამდე |
| მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები | სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებულ შემოსავლის ნაწილში არ იხდიან საშემოსავლო გადასახდს; ჩვეულებრივი წესით მიღებული შემოსავლის ნაწილში - 2023 წლის 01 აპრილამდე |
| მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები, ჩვეულებრივი წესით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში | 2023 წლის 01 აპრილამდე |
| მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებსაც 2022 წლის განმავლობაში გაუუქმდათ მიკრო ბიზნესის სტატუსი და მიენიჭათ მცირე ბიზნესის სტატუსი | მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიკრო ბიზნესის სტატუსით დაბეგვრას დაქვემდებარებული საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლის ნაწილში არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს |
| მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები, არასრულ საგადასახადო პერიოდში მიღებული შემოსავლების ნაწილში | 2023 წლის 01 აპრილამდე |
| ფიზიკურ პირები, რომლებმაც 2022 წლის საანგარიშო პერიოდში მიიღეს სარგებელი ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას, თუ ასეთი შემოსავალი არ არის გათავისუფლებული სსკ-ის 82-ე მუხლით (გარდა მე-3 და მე-4 რიგის მემკვიდრეებისა, რომლებსაც მიიღეს სარგებელი 150 000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/მემკვიდრეობით მიღებისას) | 2023 წლის 01 აპრილამდე |

| 2022 წლის საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას წარადგენენ | საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება |
|---|---|
| ფიზიკური პირები მატერიალური აქტივების რეალიზაციისას (ბინა, მანქანა და ა.შ.) მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრისას, თუ ასეთი შემოსავალი არ არის გათავისუფლებული სსკ-ის 82-ე მუხლით | 2023 წლის 01 აპრილამდე |
| ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ქონების იჯარით გაცემას და რომელთა შემოსავალიც არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (მაგ: საცხოვრებელი ფართის საცხოვრებელი ან კომერციული მიზნით გაქირავება და სხვა) | 2023 წლის 01 აპრილამდე |
| საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, თუ მათ მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი არ დაბეგრილა გადახდის წყაროსთან | 2023 წლის 01 აპრილამდე |
| არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელმაც მიიღო წყაროსთან დაკავებული შემოსავალი და რომელიც დეკლარაციას წარადგენს გადასახადის გადაანგარიშების მოთხოვნით | |
| საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციაში დასაქმებული ფიზიკური პირები | არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა |
| თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოში დასაქმებული ფიზიკური პირები | არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა |

**ცოდნა იმისა, თუ როდის უნდა გადაიხადოთ საშემოსავლო გადასახადი და წარადგინოთ საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია სამეწარმეო თუ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლების ნაწილში ხელს შეუწყობს თქვენს მიერ დროულ დეკლარირებას**